საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 20 25/06/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2020 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში საპროექტო განაცხადის "ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა" წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო განაცხადი.

2. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" (შემდგომში - სრიგპ) განსახორციელებლად, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2020 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურში საპროექტო განაცხადის - "ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა" წარსადგენად.

3. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას პროექტის ღირებულების თანადაფინანსება მოახდინოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 020701 პროგრამულ კოდზე (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია) არსებული საკუთარი სახსრებიდან.

4. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაიწყოს პროექტის განხორციელების მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე- ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. #11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე